სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/163

ქ. თბილისი

9 ოქტომბერი 2024 წ.

სტუ-ის საპატიო დიპლომებით დაჯილდოების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 9 ოქტომბრის №01-05-02/27 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ვაჟა ტარიელაძე დაჯილდოვდეს სტუ-ის საპატიო დიპლომით და ფულადი ჯილდოთი (500 ლარის ოდენობით სტუ-ის საკუთარი სახსრებიდან);
2. სტუ-ის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი,მათემატიკური მოდელირების განყოფილების მთავარი მეცნიერ_თანამშრომელი მარინე მენთეშაშვილი დაჯილდოვდეს სტუ-ის საპატიო დიპლომით და ფულადი ჯილდოთი (500 ლარის ოდენობით სტუ-ის საკუთარი სახსრებიდან);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**